კულტურის საკვანძო კონცეპტები, როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების წყარო

KEY CONCEPTS OF CULTURE AS A SOURCE OF ETHNOLINGUISTIC AWARENESS

ვიქტორ გოგაშვილი

Victor Gogashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კულტურის საკვანძო კონცეპტები, კონცეპტები: სიკვდილი-სიცოცხლე
Keywords: key concepts of culture, the concepts of death and life

ცნობიერების მენტალური ასახვის ერთეულად მიჩნეულია კონცეპტი, რომელიც სხვა კონცეპტებთან ერთად ქმნის თავისებურ ველს – კონცეპტოსფეროს, რომლის ერთეულებიც ერთმანეთთან სისტემური მიმართებებით არიან დაკავშირებული. კონცეპტოსფეროში შემავალ კონცეპტებს განსხვავებული ღირებულებები აქვთ, რაც განისაზღვრება მათი როლით საზოგადოებრივ ცნობიერებაში. განსაკუთრებული ნიშნები *„კულტურის საკვანძო კონცეპტებად“* მოიხსენიება. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ცოდნა კულტურული იდენტიფიკაციის ერთ-ერთ წინაპირობადაც ითვლება.

კონცეპტის, როგორც მენტალური წარმონაქმნის გაცნობიერება შესაძლებლობას გვაძლევს, არა მარტო აღვადგინოთ კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყარო, მისი ფსიქიკა, არამედ დავადგინოთ მისი ეთნომენტალური მახასიათებლები. სამყაროს ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს „სამყაროს სურათის“ გარკვეული მონაკვეთის შესახებ ინფორმაციის კონსტრუირებას.

იდეოგრაფიულად ორგანიზებულ ენობრივ ერთეულებსა და კონცეპტუალურ სისტემას შორის არსებული კავშირის დადგენა შესაძლებლობას გვაძლევს, ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია განვიხილოთ, როგორც კონცეპტუალური მოდელის რეპრეზენტაცია, რომელიც მოიცავს ცოდნასა და „ღირებულებრივ“ გამოცდილებას, დაგროვილს აღნიშნული სოციუმის მიერ. ამასთანავე, კონცეპტუალური მოდელი ღიად ტოვებს ადგილს შემდგომი შესაძლებლობებისთვის.

მოხსენებაში განხილული იქნება კონცეპტები: სიკვდილი-სიცოცხლე ქართულსა და რუსულ ეთნოენობრივ ცნობიერებაში. „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ მიეკუთვნებიან იმ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს უნივერსალურ საბაზისო კომპლექსს. ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ერს ისტორიული განვითარების

პროცესში უყალიბდება და გამოიხატება მისი კულტურის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების თავისებურებებში. ერის ისტორია და კულტურა ზეგავლენას ახდეს სამყაროს აღქმაზე, ამ მოცემულობათა მიმართ დამოკიდებულებაზე.

თავის მხრივ, ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ტიპი მეტწილად განაპირობებს ამა თუ იმ ენის წარმომადგენელი ერის ქცევას (ენობრივის ჩათვლით). შესაბამისად, კონცეპტის ვერბალური რეალიზაცია, მისი გამომსახველობითი მხარე და კონოტაციური ველი, სხვადასხვა ენაში შეიძლება აბსოლუტურად იდენტური იყოს.

ზოგადთეორიულ საკითხებში ცალკეული განსხვავების მიუხედავად, ყველა აღნიშნულ მიმართულებას საერთო ანთროპოცენტრისტული ხედვა აერთიანებს. ადამიანი, როგორც ენობრივი პიროვნება, არ წარმოადგენს განყენებულ ცნებას. იგი კონკრეტული კულტურის მატარებელია, კონკრეტული სოციუმის წარმომადგენელია, რაც განსაზღვრავს მის ეთნოლინგვოსოციალურ სტატუსს.

სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტოსფეროს მაორგანიზებელ სემას ორივე საკვლევ კულტურაში არსებობა/არარსებობის სემა წარმოადგენს, რომლის ირგვლივ ერთიანდება დეპენდენტურ მიკროსემათა მთელი კომპლექსი.

The concept is considered a unit of mental reflection of consciousness, which together with other concepts creates a special field – conceptosphere, the units of which are connected with each other by systematic relations. The concepts included in the conceptosphere have different values, which are determined by their role in public consciousness. Particularly important features are referred to as “key concepts of culture”. They play an important role in public life, and their knowledge is considered one of the prerequisites for cultural identification.

Understanding the concept as a mental formation gives us the opportunity not only to reconstruct the mental world of the bearer of the conceptual system, his psyche, but also to determine his ethnomental characteristics. Interpreting a fragment of the world in a conceptual system is, first of all, a construction of information about a certain part of the "picture of the world".

Determining the relationship between ideographically organized linguistic units and the conceptual system allows us to consider the verbal ideographic organization as a representation of a conceptual model that includes knowledge and "value" experience accumulated by the said society. At the same time, the conceptual model leaves room for further possibilities.

The report will discuss the concepts of death and life in Georgian and Russian ethnolinguistic consciousness. "Life" and "death" belong to the group that represents the universal basic complex. Attitude towards life is formed in the process of historical development of the nation and is expressed in the features of its culture, political, economic and social life. The history and culture of the nation should influence the perception of the world, the attitude towards these circumstances.

On the other hand, the type of attitude towards life largely determines the behavior (including language) of a nation representing a particular language. Therefore, the verbal realization of the concept, its expressive side and the connotative field, can be absolutely identical in different languages.

Despite individual differences in general theoretical issues, all mentioned directions are united by a common anthropocentric vision. Man, as a linguistic person, is not a set concept. He is the bearer of a specific culture, a representative of a specific society, which determines his ethnolinguistic status.

The organizing schema of the conceptual sphere of life and death in both studied cultures is the presence/absence schema, around which the whole complex of dependent microschemas is united.